მემორანდუმი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „მხარდაჭერის სახლს“ და ა(ა)იპ იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობას“ შორის

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი, მეორე მხრივ არასამეწარმეო/არაკომერციული/იურიდიული პირი „მხარდაჭერის სახლის“ დირექტორი მარინა ფოჩხუა და მესამე მხრივ არასამეწარმეო/არაკომერციული/იურიდიული პირი იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობას“ თავმჯდომარე იულია ხარაშვილი (შემდგომში მხარეებად წოდებული), ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის პრინციპით, მხარეების ურთიერთთანამშრომლობისა და საერთო ინტერესების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.**მხარეთა თანამშრომლობის მიზანი**

1.1 მხარეთა თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჯანსაღი დაბერების დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობისა და გაეროს 2006 წლის კონვენციის 30-ე მუხლის იმპლემენტაციის ხელშეწყობა.
1.2 პროექტის ღირებულება ბენეფიციარებისთვის შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად დმანისის მუნიციპალიტეტის მერია მიზნობრივი დანიშნულებით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის 2026 წლის 25 ნოემბრამდე „მხარდაჭერის სახლს“ გადაურიცხავს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარს, ხოლო იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობას“გადაურიცხავს 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარს, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

2.2 თავის მხრივ ორგანიზაციები „მხარდაჭერის სახლი“ და იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ იღებენ პასუხისმგებლობას, დაგეგმილ აქტივობებში 2026 წლის 15 იანვრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყონ დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ასევე სტუმრად მოწვეული (კაზრეთი, გორი) ჯანსაღი დაბერების დღის ცენტრების სულ - 90 ბენეფიციარის ჩართულობა სპორტულ-კულტურულ აქტივობებში - პროფესიონალი ინსტრუქტორების დახმარებით და საჭირო ინვენტარის გამოყენებით, მოახდინონ აქტივობებში ჩართულობისათვის საჭირო ყველა ტექნიკური რესურსის მობილიზება, უზრუნველყონ მონაწილეთათვის ბრენდირებული მაისურების მიწოდება,

მოახდინონ აქტივობების ფოტო და ვიდეო გადაღება, შექმნან მუნიციპალიტეტისთვის ინდივიდუალური ფოტოარქივი და ვიდეორგოლები.

ჩართულობა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

აქტივობა	განხოციელების ადგილი	განხორციელების დრო	ბენეფიციარი	მერიის დაფინანსება	ჯამი	შენიშვნა
სამი დღის ცენტრის (დმანისი, გორი, კაზრეთი) ბენეფიციართა ერთობლივი სპორტულ-კულტურული ღონისძიება „უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი“	**პანტიანის ტბის მიმდებარე ტერიტორია, დმანისი**	**ივლისი**	**90**	**10 000**	**10 000**	
ტრანსპორტირება (გორისა და კაზრეთის ბენეფიციართათვის)				1500	1500	
კვება (2 დღე)				3500	3500	
სპორტული ინვენტარი				1600	1600	
პრიზები გამარჯვებულთათვის და სიგელები მონაწილეთათვის				400	400	
მაისურების შეძენა და ბრენდირება				1600	1600	
ღონისძიების ფოტო-ვიდეო გადაღება და მონაწილეთათვის სამსახსოვრო ფოტოს ბეჭდვა				900	900	
ექსკურსია ნაქალაქარში				500	500	
ჯამი					**10 000**	

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის 2026 წლის 10 იანვრიდან და ძალაშია 2026 წლის 30 დეკემბრამდე.

3.2 მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

- მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა
- მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან
- შეწყვეტის ინიციატორი მხარის მიერ მეორე მხარისათვის წინასწარ 1 /ერთი/ კვირით ადრე მიწოდებული შეტყობინება;
- მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

4. დავების გადაწყვეტა

4.1. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს უპირატესად ურთიერთმოლაპარაკების გზით;

4.2. თუ მხარეები ურთიერთმოლაპარაკებით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეული მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ სადავო საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და სასამართლო განხილვის წესით მოახდინოს სადავო საკითხის გადაწყვეტა.

5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5.2. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემორანდუმის დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

5.3 მემორანდუმი გამოხატავს მონაწილე მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ ელექტრონული ხელმოწერით.

ხელმომწერ მხარეთა რეკვიზიტები:

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი
/კობა მურადაშვილი/

DMANISI MUNICIPALITY
Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY
Date: 2025.11.11 12:35:40 +04'00'

მისამართი: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქუჩა N41
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ.თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კოდი : TRESGE22
ს/კოდი : 228928391

„მხარდაჭერის სახლი“
დირექტორი
/მარინა ფოჩხუა/

Marina Pochkhua 01007007874
Digitally signed by Marina Pochkhua
Date: 2025.10.17 17:48:38

მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №20
ს/კოდი: 402286539
სს საქართველოს ბანკი
ბ/კოდი: **BAGAGE22**
ა/ნ GE71BG0000000586442811

იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

თავმჯდომარე

/იულია ხარაშვილი/

Iulia Kharashvili 62001004863
Digitally signed by Iulia Kharashvili
Date: 2025.10.17 17:45:30

მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. **№20**

ს/კოდი: **203839766**
სს საქართველოს ბანკი
ბ/კოდი: **BAGAGE22**
ა/ნ **GE15BG0000000525931436**